ოქმი:**ო08. 37223062**

თარიღი:**02/11/2022**

ოქმი № 22
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 31ოქტომბერი

ქ.ოზურგეთი

11.00 -11.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: თ.ტუღუში, პ. კიღურაძე, გ. ჩავლეშვილი, გ. შილაკაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, გ.ჩავლეშვილი, ა.ღლონტი,

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის საკითხზე, აღნიშნა, რომ საკითხი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს დადგენილების პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით და გადაწყვიტეს, რომ აღნიშნული დადგენილების მიღების გამო, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 დეკემბრის N42 დადგენილება და ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს მიერ მიღებული, 2014 წლის 26 დეკემბრის N48 დადგენილება.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი, აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინების შემდეგ, წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი